სანამ კიბემდე მივიღოდა, შიო მხტომეულს აკვირდებოდა. თამამად ცვიოდნენ წყალში, ეტყობა წყალი ღრმა იყო.

ჰა, ეს ერთი საფეხური, ეს ორი, სამი... შოთას გახედა, იმან იქიდან გაამხნევა, მე მზად ვარ, გადმოხტე, ნუ გეშინია, დაგინახავ და მეც შემოვცურავო... ხუთი, ექვსი... ათამდე საფეხური კი კიდევ იქნება... შოს წყალ 2 კაცი უნდა გადახტეს. ერთი ეგზა-

დება უკვე, მეორე ბაქანზე იცდის. ჰა, ის ერთი გადახტა.

შიო ბევრჯერ გადახტარა, ამაზე მაღლიდანაც, მაგრამ ახლა გელი მაინც უფანქვალეხს.

ესეც ბაქანი! ერთიდაა მის წინ. ისიც ეშვადება... უცებ, ერთი ციქვანა ბიჭი გახტა შიოს გვერდით და გადახტა თუ არა ის ვილაც, ამანაც ფეხი იშვირა და თავით წვივდა. შიომ თვალი ჩააყოლა. მერე ტაშიც შემოჰკრა, ციქვანა ბიჭი დიდებულად გადახტა.

„რა გამბედავი ყოფილა, უყურე შენ... თანაც რა კარგად გადახტა“, — გაიფიქრა შიომ. მას უტყაბედმა აზრმა გაურბინა: ჰაერში ბრუნე გაეკეთებინა. ჰა, რა იქნებოდა ვითომ? არასოდეს არ გაუკეთებია „სალტო“, მაგრამ ხომ უნდა გაბედოს არლისმე, ჰონა, ეს „როლისმე“ ახლა, ამ წუთისა რომ იყოს... ჰა? ჩაიხედა. თვალი აუჭრელდა. დაბოდიდან არ ჩანდა იმ სიმაღლე თუ იყო. ჰა, გაბედოს?

ნაპირისაკენ გაიხედა. თითქმის ყველა მას უყურებდნენ. შოთა ველარ შენიშნა. შიშველ ხალხში რას ვაარჩევ? შეიძლება გადაინაცვლა.

„რაც იქნება-იქნება, ვხტებო! — გაიფიქრა, მაგრამ ისევ უკან დაიწია. შეეშინა? გამობრუნდა? — შოთამ მშერა დაძაბა.

ბაქანზე ვილაც ჩასუქებულ კაცი ამოვიდა. შიომ გაცივრებებით შეხედა, ეს როგორ უნდა გადახტეს.

— ჩაღობარ? — ჰკითხა იმ კაცმა. — ვხტები! — შიოს თავისი ხმა არ

ეცნო. ალბათ „მეშინია“ — გაიფიქრა გუენებაში.

— მერე?
— რა მერე?
— რაკი ხტები, შენი რიგია, .. უთხრა მსუქანმა კაცმა.

— იციო რა? ბრუნი მინდა გავაკეთო და ცოტა არ იყოს, მეშინია, — გამოტყდა ბიჭი.

— პოო. ვერ არ ვაღაბებარა?
— ახლა მინდა გავგელო.
— მოდი, პირველი მე გადავხტები, შენ მიყურე და დარწმუნდები, რომ სულაც არაა საშიში.

— როგორ, თქვენ „სალტოს“ ვაკეთებთ?
— რა, ვერ წარმოგიდგინა? აი, ნახე...

— არა, ძია, ისევე მე ვაგებდავ. ხომ სთქვით, რიგი შენიაო, პოდა გადავხტები. — ითავილა შიშიმ სარბიელის დათმობა.

— არ დათმობს-მეთქი, ხომ ვთქვი, — გაიფიქრა კაცმა.

ბიჭი კი აღარ დაფიქრებულა, ერთი გახელდა ფიცრის ბოლოს და გაქანდა... წყლით გაუღენთილი ფიცარი სიმძიმით გაიღუნა, გაიღუნა და... შიო გაფრინდა...

ტბაზე მაშინვე ხმა გავარდა, ვიღაც „სალტოთი“ გადახტო. ყველა წყლის ზედაპირს მისჩერებოდა, უფლოდათ დაენახათ, ვინ იყო ის „ვიღაც“.

შიო მართლაც რომ დიდებულად გადახტა, კონტად დატრიალდა, წყალში სოლივით ჩაეშვა.

ზოგი გადახტება და როდის ამოჭყოფს თავს, ვითომდა შემობზნდეთ, წყალში დიდხანს გაძლებაც შემიძლიაო... შიომ მაღვეე ამოყო თავი. შეამჩნია, რომ ყველა მას უყურებდა.

კოშკურას ახედა. ბაქანზე ისევე იდგა მსუქანი კაცი.

„ნუთუ მართლა ვაღმობტება?“ — გაურბინა ფიქრმა ბიჭს.

ავერ, მოეზადა. მაგრამ არა! ნელა მივიდა ფიცრის ბოლოს. შეჩერდა, გაიჭიმა. მერე მოიღუნა, მუხლებში მოიხარა და აკრა ტანს... შიოს შორიახლოს ჩაეშვა წყალში, ისე ვადრინებდა, ბრუნი არ გაუკეთებია ჩვეულებრივად, თავით, თუმცა ძალიან კარგად და კომპაზად.

— მე წამაქეზა! მე გამაბედვინა! — ფიქრობდა შიო და დიმილით გასცქეროდა წყალში მოტივტივე მსუქან კაცს.

▲ ამირან ბაღაზაძე,

კახის მე-8 სკოლა,
X კლასის მოსწავლე.

ეკოლოგები

ყვეთელი ფოთლები
ცვივა ძირს,
ცვივა ძირს,
ცვივა ძირს,
ზოგი კი ჩემს სარკმელს ესღება.
მე ვკრფუ და ვინახავ,
ვინახავ ჩემს გულში
და ვათობ —
არ დატყნენ ეგება.

მიყვარს, მიყვარს გაზაფხულის
ათასგვარი ფერები,
ყვავილები, ყვავილნარი,
მოლალანე სერები;
მთაში წყარო მობუტბუტე,
ჩანჩქერების ჩანჩქარი,
ბალახგემში ბაჭყლების
სუპ-სუპი და ცანცალი.

▲ ლავა ნალარმიშვილი,
რესპუბლიკური ექსპერიმენტალური
საშუალო სკოლის მე-2 კლასი.



რ მ მ ა

| ივანე ჯინჯიასვილი.
VIII კლასი.

კარნი

ამბიუდი

თბილი და ალერსიანია აპრილის ქარი.
ახლად ამწვანებული მთების უბიდან წყნარად ამოიქროლებს და... მერე სააშო ბუბუნით დაეშვევა ბარისაკენ.
ბარში აპრილის ქარშოშინს ბაღები ელიან...
რძით სავსე საყვავილე კვირტებს ძალიან, ძალიან უყვართ დღის ნანასავით ტკბილი აპრილის ქარი. მის ნაწ ამბოროსა და სათუთ ალერსში იზრდებიან, წამოჩიტდებიან და მერე...
ახლად გაფურჩქენილი ყვავილების ჩურჩულით აივსებს უბეს ქარი და ღაღად გაინავარდებს ჩემი ღამაში მამულის მთა-ველებში.
...დაჰბერე, უფრო ხშირად დაჰბერე, საყვარელო და სასურველო აპრილის ქარო!

▲ ბულიკო ვოპიძე,

აპაშის რაიონის სოფ. პირველი მაისის საშუალო სკოლის მოსწავლე.





ცელქ სიოს დაქვეს ყვავილთა თოვლი,
იმდს, ოცნებას აფრქვევს გვირილა...
მთების სიმღერა ჩამოაქეთ ტალღებს
და ზესტაფონში სტოვებს ყვირილა...

კვეცი

მზეზე გამოვიწვიდი შენსკენ
სუსტ ხელებს
და მომეც ძალა ისეთი დიდი,
ამივსე გული თბილი გრძნობებით.
სულს ჩამიდვარე ლამაზი
სხივი,
დამინთე თვალში ცვეცლი
უქრობი
რომ იკამკაშოს თაფლის
სანთლებად
და მომამაღლე ნიჭი
იმგვარი, —
მხოლოდ სიკეთე ვფიქრო
ამ ქვეყნად!..

არ ბეჯე მიყვარსო...

თუ ახალ ხნულში არ გაგვილია,
მიწის სუნთქვა არ გაგვარებია,
თუ ლურჯი იის ძებნაში გართულს
კაბა გვლუბზე არ დაგვხვია, —
მე გაზაფხული მიყვარსო, არ თქვა,
არ თქვა, იები რომ გყვარებია!..

თუ გაზაფხულზე ნორჩი ნერგები
არ დაგირგავს და გისარებია,
თუ ალუბალის, ატმის და ტყემლის
ფიფქი თმებით არ გიტარებია, —
არ თქვა, მიყვარსო მე გაზაფხული,
არ თქვა, სოფელი რომ გყვარებია!..

თუ არ გასულხარ წვიმაში გარეთ
და ფეხშიშველას არ გირბენია,
თუ მერე წვიმის წვეთები თმაში
მარგალიტებად არ ჩაგრჩენია, —
მე გაზაფხული მიყვარსო, არ თქვა,
არ თქვა, ბუნება რომ გყვარებია!..

ტყე სიუმეს მოეცვა, დაეთოვ-
ლა. თეთრი ქურჭი ჩაეცმია ზაჟ-
თარს ტყისა და გარემოსათვის.
ძლივს მოესვენა ტყეს აბეზარი კა-
ქაჟის ლაქლაქისა და ტყის ჭორე-
ბისაგან... ტკბილად ეძინა. უცებ...
ფაშარი თოვლის გუნდა ჩამოვარ-
და ნაძვიდან. გამოჩნდა ცნობისმო-
ყვარე წითური სახე და სტაფილო-
ებით სასვე პარკი: ეს ციყვი იყო,
კურდღელთან — მიდიოდა. უცბად
კურდღელიც გამოხტა სიროდან
და სტუმრად ციყვისაკენ გაემარ-
თა. მას ხელში თხილით სასვე პარ-
კი ეჭირა. მიიხედ-მოიხედა. „საფ-
როზე არსაიდანაა“, — გაიფიქრა
და გზა განაგრძო. თოვლის ფანტე-
ლები პეპლებივით მოფრინავდნენ.

— ვაი! ეს ვინაა? — უცებ ციყვი
კურდღელს დაეჯახა. ორივეს შეე-
შინდა, ორივემ პარკებს დახედა,
ყველაფერს მიხვდნენ.

— ჩემთან წამოდი, — უთხრა ცი-
ყვი კურდღელს.

— არა, ჩემთან წავიდეთ, — მიუ-
გო კურდღელმა.

მეგობრებმა გზა განაგრძეს.

თენდებოდა. მთვარე ვერცხლი-
სფერი პეშვით აგროვებდა მდუმარ-
ებას. ტყე იღვიძებდა. გათენდა.
მზემ ოქროსფერი მახვილი შემოჰ-
კრა სიბნელეს და ცისკიდური წი-
თლად შეღება.

— გილოცავთ ახალ წელს, გი-
ლოცავთ! — ყვიროდა კაქაჟი. —
გაიღვიძე, დათენი! ტკბილად და-
მიბერდი, ციყვუნი! — გაისმოდა
კაქაჟის გამაყრუებელი ხმა. ტყე
მხიარულობდა, მერე რა, რომ ყინ-
ვა ძველებურად უჭერდა. „გილო-
ცავთ. გილოცავთ!“ — ყვიროდა
კაქაჟი. ყველა ცხოველი და ფრი-
ნველი ხელსაყველ და ბარაქიანად
ხედებოდა ახალ წელს.

◆ ლაშა კობრიძემ,
თბილისის მე-8 საშუალო სკოლის IV
კლასის მოსწავლედ.



ლამაზია ვარსკვლავებიანი ლამე, მოკაშაზე მთვარე. ლამაზია ცაზე გაწოლილი ღრუბელი, რომელიც მთვარეს ხანდახან შეხებდას და გადაეფარება. მთვარე თითქოს არ კადრულობს ლეგა ღრუბელის გათამაშებას და გაურბის, მერე კი ნელა-ნელა მიცურავს. ხან ფოთლებიდან გამოიხედავს, ხან ხეზე მოკალათდება და იქიდან უყურებს არემარეს. ირგვლივ სიჩუმე სუფევს. ქვეყანას სძინავს ტბილი ძილით.

მაცხალა გონაზვილი,
ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სა-
ახლის ნორჩ შემოქმედთა კლუბის „მოთიბის“ წევრი.

დიდი კვა

დადგა გააფხული. ექვსი წლის ვია უფროსმა ძმამ გელამ ტყე-
ში წაიყვანა. ვია უკან მისიღვედა გელას და ყველაფერს ცნობის-
მოყვარეობით ათვალისიერებდა.

იმათი სოფელი ფერდობზე იყო გაშენებული. ვია თავის კობტა
სოფელს სიყვარულით გამოჰყურებდა. რა ლამაზი იყო ის გააფ-
ხულზე!

და აი, შევიდნენ გელა და ვია ტყეში... ირგვლივ აკვირებული
ხეები, მოხასხასე ბაღბახი, ფრინველების ჭიკჭიკი...

ვია ლურჯთვალა იას დასწვდა, — დეიკოს გაჯანარებო...
რა უღაბური იყო ტყე, მაგრამ არ ეშინოდა პატარას, რადგან
გვერდით დიდი ძმა მიჰყვებოდა!

სოსო დოლიძე,

თბილისის 75-ე საშუალო სკოლის
VI კლასის მოსწავლე.


იზიჯი

მზე ცხრათვალა,
მზე ბარჯღალა
უხვად გაფრქვევს სხივებს.
საქართველოს გული ხარ და
გულზე იბნევ იებს.

სულ იზრდები,
სულ მალდები,
ყველაფერი გშენის.
კიდით კიდე განთქმულია
სიღამაზე შენი.

შენ იცოცხლე, საქართველოს
ცხელი გულის ფეთქავ!
უთვალავი წლების მერეც
შენი ქება ეთქვათ!

მარინა გოზალიშვილი,
ქაზის რაიონის სოფ. ახალქალაქის სა-
შუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.



კ ი ნ ბ რ.
8. შავლაშვილი.
თბილისის 51-ე საშ. სკოლა.



მ. კ. ა. ი.
3. პარაკიძე.
თბილისის 78-ე საშ.
სკოლა, VI-ე კლასი.



გულითა ჩა ქაღვიტ შემკაზვი

ჩაქათა ყვევზე რარი სე ხერებ,
ვითარე სევე - ცოქებე ჩეხე,
აე ყვესე სებზე - რირიხე ყვერეა.

ჩაქათა სიყვარე სომ სეჩე ჩხერებ
რძო ვარე, შაქალ - სეჩე ყო ჩეხე,
თე სეჩე ჩეჩე - სომთიე ვევეა.

მ. ბიგუა




ცნობილ მწერალ ქალ მარიჯანს (მარიამ ტყემელაძე-ალექსიძეს) 80 წელი შეუს-
რულდა!

შინაარსიანი და ნაყოფიერია მწერლის განვლილი გზა, დღენიდაც კეთილი ფიქ-
რითა და კეთილი საქმით დამშვენებული!

მარიჯანის სახელი განსაკუთრებით ბავშვებისათვის არის ძვირფასი, იმიტომ, რომ
თავად მწერალს მთელი სიცოცხლის მანძილზე გულთთ დააქვს მათი სიყვარული და თა-
ვისი მადლიანი კალმით ბევრჯერ გაუხარებია ნორჩი მკითხველი.

თაობიდან თაობაში გადადის მისი ნაწარმოებები „ხელი ცირკში“, „მამიდა
თელს მარანი“, „ზურა ატმის ქალაქში“, „გელა“ და უამრავი ლამაზი ლექსი თუ პატა-
რა მოთხრობა. მწერალი ახლაც ხალისით უზის თავის სამუშაო მაგიდას. ისევ გრძელ-
დება სიტყვასთან ჭიდვლით თეთრად გათენებული ღამეები, ოჯახური თუ საზოგადო
ზრუნვასა და ფუსფუსში შემოღამებული სიხარულის დღეები...

ქურნალ „პიონერის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია (რომლის ერთერთი
წევრი წლების მანძილზე პატივცემული მარიჯანიც მრძანდებდა) ასიათასობით მკითხვე-
ლთან ერთად მსურვალედ ულოცავს მწერალს დაბადების 80 წლისთავს და უსურვებს
ყოფილიყოთ კიდევ დიდხანს გულთთა და კალმით უბერებელი, კიდევ მრავალი ახალი
წიგნით გაუხარებინოს ჩვენი ბავშვები, ჩვენი მოზარდი თაობები.



ს

ატვის ნიჭის მქონე თბილისელი ბავშვებისათვის ქუჩის შვილის ქუჩაზე მდებარე ერთ პატარა შენობაში უკვე თითქმის თხუთმეტი წელიწადია არსებობს სამხატვრო სკოლა. გამოცდილი პედაგოგები — საქართველოს სსრესპუბლიკის დამსახურებული მხატვრები მარგალიტა და შოთა მეტრეველები, ჯიმსონ ხუნდაძე, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგები ილია კერესელიძე, ქეთევან კარბელაშვილი, მხატვრები მარიკა დაუშვილი, ზაქრო ლომსაძე, ლეილა ჩოხელი, გივი ლულაშვილი, მოქალაქე ავთანდილ დევდარიანი, ხელოვნებათმცოდნე ცისია ელისაშვილი და სხვები ბავშვებს ასწავლიან ფერწერას, გრა-

ფიკას, ძეგწვას, სახვითი ხელოვნების ისტორიას, უნერგავენ პროფესიულ ჩვევებს, გადასცემენ თავიანთ ცოდნა-გამოცდილებას.

— ბავშვები აქ ეცნობიან ხატვის თეორიას, ფერების წმარებას, რიტმს, სიერცის ჰარმონიულად გამოყენებას, პროპორციებს. — გვიამბო სკოლის დირექტორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა, მოქანდაკე ირაკლი ყანდაშვილმა, — მათ მართო საერთო კონტურების შემოხაზვა ე არ უნდა იცოდნენ, არამედ დასრულებული ნახატის შესრულებაც. პედაგოგები ყოველმხრივ უწყობენ ხელს მოზარდთა თავისუფალ შემოქმედლებითს ნიჭს და მხოლოდ ნატურის აღბეჭდვით არ მოჭავენ. ეს კი ფორტის ასახმს ბავშვთა ფანტაზიას და იქმნება, ზოგ შემთხვევაში გულუბრყვილი, მაგრამ მაინც საინტერესო,

სიუეტური სურათები, კომპოზიციები, ხაზებისა და ჰაერის პერსპექტივის კანონების შესწავლის შემდეგ მესაძლოა, ადამიანი მხატვარი არ გამოვიდეს, მაგრამ ის უთუოდ შეძლებს პეიზაჟის, ცოცხალი ფიგურის სწორად ასახვას.

სამხატვრო სკოლაში სწავლება ოთხწლიანია. სასწავლო წელიწადო სექტემბერში იწყება. ნორჩი მხატვრები პირველ ხანებში ეცნობიან ძირითად მასალებსა და ხელსაწყობს — ზეთისა და აკვარელის საღებავებს, პლასტილინსა და თაბაშირს, ფანქრებსა და ყალმებს, პალიტრასა და მოლბერტს, შემდეგ პრაქტიკულ ვარჯიშზე გადადიან. ნამდვილი შემოქმედება კი უფრო მოგვიანებით იწყება, როცა თვითიული მოსწავლე თავისა სურვილის მიხედვით ირჩევს თემას.

კლასებში ბავშვები საგნების სილი-

ფანქრით, ფეხით, თიხით...



დის, ფორმის, მდგომარეობის მოჩვენების ცვალებადობას სწავლობენ. ამას მხატვრები პერსპექტივას უწოდებენ. თუ პერსპექტივა იცო, შესძლებენ სიბრტყელ საგნების იმიჯარად ასახვას, როგორცაც მათ ბუნებაში ვხვდებით. ნორჩი მხატვრები სახვით ხელოვნების სხვა დანიცობნიებისაკენ ცდილობენ — შუქჩრდილებს, კოლორიტს, კომპოზიციას, ხელოვნების ნაწარმოების აგებულებას, მისი შემადგენელი ნაწილების განლაგებას და ურთიერთშეფარებას. ეს კი ფიგურებისა და საგნების ტილოზე ან ქაღალდზე ისეთი განლაგებაა, რომელიც ყველაზე უფრო ასახავს მხატვრის ჩანაფიქრს. კოლორითი კი ფერების პარმონიული შეხამებაა, რაც სურათის გარკვეულ მილიონობას ქმნის. მოხატულს პროფესიული ჩვევების ათვისებაში, ნახატის კანონებისა და ფერწერის დაუფლებაში ხელს უწყობს ნატურმორტზე მუშაობა, რასაც დიდი ღრო აქვს დათმობილი. „ნატურმორტი“ ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს „მკვლარ ბუნებას“. იგი სურათია, რომელზეც გამოსახულია უსულო საგნები — ყვეალებები, ხილი, სხვადასხვა ნივთები, ნაწარმირები, გაწყობილი სურათი და ა. შ. ნატურმორტის გასაწყობად სკოლას აქვს ანტიკური ქანდაკებების რამდენიმე პირი, ანატომიური ცხრილები, ხილისა და ბოსტნეულის მულავი (ნატურალური ზომის მოდელი), ფირიველების ფიტულები, თიხისა და სილინძის ჭურჭელი.

ნატურმორტზე მუშაობის უდავო უნარი აქვთ მოსწავლეებს ლევან ლა-

სარაშვილს, მერაბ აბესაძეს, ნანა ჯანგულაშვილს, ნოდარ არჯვანიძეს, ვიკა დევდარიანს, ნანა სირბილაძეს. ირინე ბარნოვას, დარეჯან ხარაძესა და სხვებს.

სამხატვრო სკოლაში ბავშვები ზოგადდ ეცნობიან საბჭოთა და უცხოეთის მხატვრულ კულტურას — რემბრანტის, მიქელანჯელოს, რუბინის, სურტიუვის, აივანოვის, შიშინის, შადრის, ვუჩეტიჩის, უკრაის, მუხინას, გაბაშვილის, ნიკოლაის, ჯაფარიძის, გულიაშვილისა და სხვების ნაწარმოებებს, ცხოვრებასა და შემოქმედებას. ხშირად ეწყობა ექსკურსიები საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, სურათების გალერეაში, კერამიკულ კომბინატში...

ბავშვთა სამხატვრო სკოლას თავისი ტრადიცია აქვს. ყოველი სასწავლო წლის დამთავრების წინ აქ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა იმართება. მაგალითად, წლეულს ნორჩმა მხატვრებმა სკოლის სამ ითახში მოაწვეს საინტერესო ექსპოზიცია, წარმოადგინეს ქანობრივად მრავალფეროვანი ასამდე ფერწერული ტილო, გრაფიკული სურათი, ნამერწი ფიგურა. გამოფენა ნათლად მეტყველებს ავტორთა მდიდარ ფანტაზიაზე, მათს ცნობისმოყვარე თვალთახედაზე, ფერთა სრულ ელერადობაზე. ტილოსა და ქაღალდზე ასახულია სამყარბლო მოედნები, ქარხნები, ქალაქისა და სოფლის ცხოვრება, კოსმოდრომები და კოსმონავტები, საბჭოთა არმიელები, მუშები, პეიზაჟები, ცხო-

ველები. ბევრ ავტორს თემად აერჩევია ხალხური შემოქმედება — თქმულება, ლეგენდა, ზღაპარი და სხვა კუთხური ფანტაზიით სავსე მხატვრული სურათები. ასეთოდ, მთელი ექსპოზიცია კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. ჩანს, რომ ავტორები სახვით ხელოვნების სწორ გზას ადგანან.

ამ გზამ ბევრი აქაური ექრსდამთავრებული, მათ შორის ივენე ტრავინიძე, ბიჭო გულუაშვილი, ციანა გაჩეჩილაძე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში მიიყვანა. ხოლო დემურ კახანაძე, ირინე სიხარულიძე, გიორგი ყარაშვილი, ნელი ჩიქვილიძე და სხვები სამხატვრო ტექნიკუმი სტუდენტები გახდნენ.

სკოლა მოწოდებული არ არის იმისთვის, რომ მოამზალოს მომავალი მხატვრები. ბევრი აქაური ჭაბუკი და ქალიშვილი უთუოდ აირჩევს სხვა პროფესიას — გახდება ინჟინერი, ექიმი, ზენიკალი, მექანიკოსი, სოფლის მეურნე, სამხედრო მოსამსახურე და ა. შ., მაგრამ ყველა მათგანს აქ შეძენილი ხატვის ანბანის ცოდნა გამოადგება შემდგომ ცხოვრებაში, სწავლასა და შრომაში. სახვითი ხელოვნების მცოდნე ადამიანს ადვილად შეუძლია ამა თუ იმ საგნის, სხვადასხვა მოვლენის სწორად მოხაზვა, ფერწერული, გრაფიკული თუ სკულპტურული ნაწარმოებების შენაარის გაგება — კარგად წაიკთვა, ნახატის არსში ღრმად ჩაჟვრება. ყოველივე ეს კი ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელია.

ვახანა ნიკოლაიშვილი.





ქართული მწერლობის მოყვარული ახალგაზრდობა დღეს ერთგულ კიდევ პატივისცემით და სიყვარულით გაიხსენებს საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის სახელს.

თავისი პირველი ლექსი გიორგი ლეონიძემ თერთმეტი წლის ასაკში დაბეჭდა. ადვილად წარმოსადგენია, რა ბედნიერი იქნებოდა ის დღე ნორჩი ავტორისათვის. მაგრამ განა მარტო მისთვის გახდა სასიხარულო ამ ახალი სახელის გამოჩენა ჩვენს პოეზიაში! იმ დროიდან დაწყებული, ორმოცდათხუთმეტი წლის მანძილზე გიორგი ლეონიძის შემოქმედება დღითიდღე ძალას იკრებდა, ვეჯკაცდებოდა და ყოველთვის ახალ მარგალიტს მატებდა დიდი წარსულის მქონე მდიდარ ქართულ პოეზიას.

მთელი სიცოცხლის მანძილზე გიორგი ლეონიძე უმღეროდა ქართველ ხალხს, ჩვენი ქვეყნის წარსულს, აწმყოს და მომავალს.

„სულ ჩემი გულის მონაწერია,
რაც დაემწკარა ქალადს ლექსები,
ვუმღერ სამშობლოს, კიდევ მწყურია,
და მის სიყვარულს დავემწყემსები.
...„სამშობლო — ჩემი გულის ფუჭკვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი“

გიორგი ლეონიძის ლირიკა ყვეთლოზობილ გრძნობებს უღვივებს და დიდ სიამოვნებას განაცდენივებს მკითხველს. მისი ლექსები, ხომ უჩვეულოდ ლაღი და მუსიკალურია, ამასთანავე სადა და ნათელი, რაც მათ ხალხური სიტყვიერების ბრწყინვალე ნიმუშებთან ანათესავენს.

თავის ლირიკულ შედევრებთან ერთად გიორგი ლეონიძემ შეისანიშნა პოემების შექმნა: „სამაგრი“, „ფორთხალა“, „ბავშვობა და ყრმობა“, „ბერძნულა“ და სხვანი. საქართველოს წარსულის და თანამედროვეობის საფუძვლიანი ცოდნა პოეტს ხელს უწყობდა, რომ მისი პოემები ჩვენი ქვეყნის, როგორც ძველი, ისე ახალი სტოკრების და ხალხის სულიერი სიდიადის მხატვრული მატრიანე ყოფილიყო.

გიორგი ლეონიძის შემოქმედება მარტო პოეზიით არ განისაზღვრება. სიცოცხლის ბოლო წლებში, თავისი ახლო მეგობრებისთვისაც მოულოდნელად მან გამოაქვეყნა მითხრობების მთელი ციკლი, რომელიც სულ მალე ცალკე კრებულად იქნა გამოცემული. ამ კრებულს „ნატურის ხე“ ეწოდება. მან გამოსვლისთანავე მიიპყრო ყურადღება და დიდი მოწონება დაიმსახურა თავისი მხატვრული ღირსებების გამო. გიორგი ლეონიძემ აქაც გამოიჩინა თავისი ტალანტი და ბრწყინვალე მითხრობებითა გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა. ამ მითხრობებში მან ჩვენი სოფლის წარსული ყოფაცხოვრების სურათები და ტიპური ქართული ხასიათები დაგვიხატა.

გიორგი ლეონიძემ თავისი კვალი შეცნირებდაშიც დასტოვა. მის კალამს არაერთი საყურადღებო მეცნიერული შრომა ეკუთვნის. ფართოდ ცნობილია გამოკვლევები სულხან-საბა ორბელიანზე, დავით გურამიშვილზე და სხვა. ჩვენს ყურნალ-გაზეთებში დაფანტულია და ცალკე კრებულად ჯერ არ გამოცემულა წლების მანძილზე დაბეჭდილი მისი წერილები მხატვარ ფიორისმანიშვილზე, ნარკვევები ძველი ქართული თეატრის ისტორიიდან და სხვა მრავალი ნაშრომი.

„სამშობლო
ჩემი
გულის
ფუჭკვაა...“

ბევრი რამ შესძინა გიორგი ლეონიძემ ქართულ კულტურას, განსაკუთრებით მწერლობას. იშვიათი იყო მის ცხოვრებაში ისეთი დღე, რომელიც საქართველოზე ფიქრში და მისი წინსვლისათვის შრომაში არ დაღლიებინოს.

დაუღალავი იყო გიორგი ლეონიძე საქართველოს სიყვარულში და ამიტომ არის, რომ ასეთივე სიყვარულით უპასუხებს მას ჩვენი ხალხი.

ბევრჯერ დაწერია და კიდევ ბევრჯერ დაიწერება ამ დიდი გულისა და ნათელი გონების ადამიანზე და დე, მისი ცხოვრება და ღვაწლი ყველა თქვენგანისათვის მაგალითი იყოს იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო შენ, ხალხს, შენს ქვეყანას!

საგრო კლდიაშვილი.

ნიჭიანუკე და ლეონიძისა

მხოლოდ შენ გეტყვის შენი ქვეყანა,
ბევრი იცხოვრე დღეის-ხვალბით:
— სტივის გიკრავდი და არა როკავდი,
გიგალობდი და არა გალობდი!

შენი დრო იყო სიჭაბუკისა,
ვერ აიყარა შენი ყუვილი;
სიჭაბუკე და ლექსი ერთია,
ერთ ჩუქურთმამში გამოყვანილი.

ვინ დაგაყარა გულზე ქვიშანი,
არ ამოვიდეს ლექსის ბალახი?
ახალგაზრდობა — შენი ნიშანი,
თავზე გადგია ვით ჩაბალახი.

ულამაზესი მხოლოდ ის არის,
ვინც აესტებლა თავის დროს ძალით —
ადიდებული, დამწიფებული,
ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი.

დღევანდელი დღის პასუხმგებლო,
ჩაასვი სიტყვა — ტყვია ტყვიამი!
მიწას არ ახსოვს, იყოს პოეტი
გამომწვევეული კუბოს წყევიადში.

და რაც კი სუნთქავს დღეს ქვეყანაზე,
რაც სიცოცხლეთი არის ცხოველი:
მიწა, ფოთლი, დრუბლის ნაგლეჯი, —
შენი სიტყვების ღიმილს მოედის.

შენ გელოდება დასასტამბავად
ათი ათასი ჩანჩქრის ბღაველი;
სიჭაბუკე და ლექსი ერთია —
ერთ ჩუქურთმამში გამოყვანილი!

თეიმურაზ



გიორგი შატბერაშვილის
დაბადების 60 წლისთავი

გიორგი შატბერაშვილის
დაბადების 60 წლისთავი

შეხვედრა

მოთხრობა

მოკვდა პაპა თედო. მოკვდა სრულიად მოულოდნელად. ოთხმოც წელს გადაცილებული იყო, მაგრამ თავს მუდამ კარგად გრძნობდა, არ აჯადობდა, ამიტომ არავინ ელოდა მის სიკვდილს.

სალამო ხანს ერთი კი თქვა, ცოტა უქეთიფოდ ვარო, მიწვა აივინს თავში გაშლილ განიერ ტახტზე და მიიძინა. მიიძინა და ველარც გაიღვიძა... აღვიძეს და ვერ გააღვიძეს.

გაუნძრევლად იწვა ტახტზე და აღარ ხვრინავდა. ხვრინვა კი ისეთი ხმამაღალი და უცნაური იცოდა, რომ, როცა დღისით თავის ტახტზე დაღლილი მიწევებოდა და თავს ძილს მისცემდა, უწოში მოფუსფუსე ნაცვარა ქათმები ცალი თვალით შეშინებული იზიარებოდნენ აივინსაკენ.



ს ა კ რ ე ბ ა

შეკრები

ორიოდ სიტყვა მიიწვია ვუთხრა „პიონერის“ მკითხველებს გიორგი შატბერაშვილზე — გამოჩენილ პარტიულ მწერალზე, საზოგადო მოღვაწეზე, გულთბალ ადამიანზე. ამ სტრიქონებს ვწერ დიდი გულისტკივლით, რადგან ზუთი წელია იგი ჩვენი შორის აღარ არის. ახლა გიორგი სამოცი წლისა იქნებოდა. ბევრი, ძალიან ბევრი ნიჭიერი ლექსი, მოთხრობა, პიესა შეისქინა ქართულ მწერლობას გიორგი შატბერაშვილმა. ყოველი მისი ნაწარმოები გამთბარია ხალხის უანგარო და სპეტაკი სიყვარულით. იგი მრავალი წიგნის ავტორი იყო. ამ წიგნებმა მოუპოვეს მას ესოდენ დიდი პოპულარობა ქართულ მკითხველებს შორის. გიორგი შატბერაშვილის შემოქმე-

დებას კარგად იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. გიორგი შატბერაშვილი ჩვენი ბავშვების გულთბალი მეგობარი იყო. მეტად საინტერესო ლექსებსა და მოთხრობებს წერდა მოზარდი თაობისათვის. თქვენი საყვარელი ჟურნალების „პიონერისა“ და „დილის“ ფურცლებს სამი ათეული წლის განმავლობაში ამუშევრებდა მისი მრავალი ლექსი და მოთხრობა. ჭერ კიდეც აღზე, როცა გიორგი პატარა იყო, მოსწავლეობდა დაბეჭდა თავისი პირველი ლექსი გაზეთ „მოწაფის ხმაში“. ამ დღიდან მოყოლებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე აღქართული საბავშვო ჟურნალ-გაზეთების უახლოესი თანამშრომელი იყო. განსაკუთრებით აქტიურობდა

ენმარებოდა მრავალი წლის მანძილზე ჟურნალ „პიონერის“, როგორც მისი სარედაქციო კოლეგის წევრი. რედაქციის მუშავეებს კარგად ახსოვდა მისი დაუღალავი მოღვაწეობა „პიონერში“. განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგის მზარუნველობა ახალგაზრდა შემოქმედთა მიმართ. ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუცაფა გზა მან მწერლობაში. მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა მან ბევრი რამ გააყეთა ქართული კულტურის აყვავებისათვის და შეიტანა თავისი წარუშლელი წვლილი ქართული მწერლობის საგანძურში.

რამაზ მარგინიძე.

ახლა კი სუნთქვაც, მცირე სუნთქვაც არ ისმოდა მისი. პატარა რეზო შუბლშეკრული შემყურებდა დიდის ცრემლიან თვალებს, ტახტის ბოლოში უძრავად გაჩერებული მამის შეწუხებულ სახეს. ძალთან საყვარელი კაცი იყო პაპა თედო, ამიტომ მისმა სიყვარულმა ყველამ ატყინა გული. სოფელში უცებ გავარდა ხმა, მეზობლები მოვიდნენ და ატირდნენ. ყველაზე მეტად დედაბები სალომე ტირიდა, თავში ხელს იცემდა და მოთქმით ტირიდა. რეზოს ხელი მოჰკიდეს, დაუყვავებს და ოთახში შეიყვანეს, მაგრამ რეზო იქ დიდხანს არ გაჩერებულა. ოთახში ბნელიდა, აივნისა და გულსაკლავი ტირილის ხმა შემოდინდა, შეეშინდა რეზოს, კარი ფრთხილად გამოიღო და ჭეშრუტაწიდან უუურებდა ყველაფერს. შემოდგომის საღამო იყო, თბილი და სასიამოვნო. ცა მოქმუნდელიყო, ვარსკვლავები კრთოდნენ, ეტყობოდა, ხვალაც კარგი დარი დადგებოდა, მაგრამ რეზოს ეს არ ახარებდა. მას ვაღი სტიქიოდა, არა პაპა თედოსთან ერთად ვენახში ვეღარ ჩავივარა ხვალ დღითი.

აგერ პაპა თედო გადმოაბრუნეს, გულადმა დააწვიანეს

და საკინებ შეუხსნეს. მერე გახუნებული ხალათის გახდა დაუწყეს. რეზომ ჭეშრუტუნას თვალი მოაშორა. — საგარეო ხალათი მომაწოდეთ! — გაიგონა რეზომ სალომეს შეწუხებული ხმა. ნეტავ რად უნდა საგარეო ხალათი პაპა თედოს... ხომ ვეღარ ვაღვიძებ, ხომ ვეღარსად წავა? აივნის იატაკზე რაღაცამ დაიჩხაკუნა, თითქოს რაღაც კენჭების მსგავსი დაცვიდა და მიმოიფანტა. — აბმის კურკები!.. — წამოიძახა მამამ. — ჭიბეში ატმის კურკები ჰქონია, — დაუმატა ხმის კანკალით დეიამ. — რად შეუნახავს პაპა თედოს აბმის კურკები? — გაოცებით გაიფიქრა რეზომ. დილას რეზომ და პაპამ ერთად ჩაიარეს ბაღში. პაპამ მწიფე, მსხმიაირე ატმის ხე შეარჩია. ერთი მსხვილი ატამი რეზოს თავზე დაეცა. ეტკინა, ტირილი დააპირა, მაგრამ პაპამ გაიცინა და რეზოს ტყვილმა გაუარა. ასე იცოდა პაპა თედომ: როცა თედო რამეს იტყვიდა და სატკირლად პირს დაადებდა, მოხუცი თვალებში ჩახედვდა, სიცოცხლე აიტეხდა, გამაზნებებდა... ჰოდა, ამ დღითაც ილი-

მებოდა რეზო, ამტებს ხლებდა, კურკებს ღობის იქით ის-როდა... პაპას კი ჭიბუში შეუნახავს კურკები.

— ასეთი კაცი არ მოყვდება, არა! — შემოესმა სალო-მეს ხმა რეზოს.

როგორ თუ არ მოყვდება, აქი წელან თქვენს, მოყვდაო, იტერის კიდევ... რეზოს ტანში შერაბტილმა დაუარა, კარს მოსცილდა და მამასთან ურთადა.

— მამი, რად უნდოდა პაპას ატმის კურკები? — ეცი-თხებოდა მამას რეზო, თან ცალი თვალით მიცვალებულს გასკეტროდა.

პაპა თელო ტახტზე იწვა, ახალი შავი სატინის ხალათი ეცვა. საკინძვე თეთრი დღობი მიჯრთი შეეკრათ. პაპა კი მუშად საკინძვასწილი დადიოდა და ილიმებოდა. ახ-ლაც ილიმებოდა, ისე იწვა ტახტზე, თითქოს ტბილ სიზ-მარს ხედვდა და ილიმებოდა.

— ალბათ უნდა დაეთესა, შვილო... — თქვა მამამ და თვალქვეშ ხელა ამოსიხა.

„ზო, ამ კურკებს პაპა თელო გაზაფხულზე მიწაში ჩაფ-ლავდა. მერე ატმის ხეები ამოვიდოდნენ, გაიზარდებოდნენ, ვარდისფრად აყვავდებოდნენ, დაისხამდნენ, დამწიფდებ-ოდნენ... ხეების ჩრდილში პაპა თელო და მისი შვილი-შვილები ჩამოსხდებოდნენ, გაიხარებდნენ.

ალბათ პაპა თელოც ამას ფიქრობდა, როცა ატმის კურ-კებს ჭიბუში ინახავდა?

თუცა არა... მან ჩარვად იცოდა, რომ ვეღარ შეესრუ-ბოდა ატმის ხეების ვარდას. ამ ატმის კურკებს კი მა-ინც ინახავდა სათიფლად. როგორც ჩანს, სიყვდილის წი-ნაც ხალხისთვის ფიქრობდა პაპა თელო.

მოყვდა პაპა თელო...

რეზოს კი ეცნა, მუდამ, მუდამ იცოცხლებდა. ახლა ის ყველას დაავიწყდება.

— უტეა რეზოს ქვითინი წასვლა.

— არ მინდა, არ მინდა... რად მოყვდა პაპა თელო!

— გაჩუღე, შვილო, — დაუყვავა მამამ, — პაპა თელო მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში... ჩვენ ამ კურკებს დაე-თესავდა და მის სურვილს შევასრულებთ. ატმის ხეებსაც მის სახელს დავარქმევთ!

რეზო ცრემლებს იწმენდა, იწმენდა, მაგრამ მაინც ჩამოსხიოდა ცრემლები. მას უხაროდა, რომ პაპა თელო მის გულში იცოცხლებდა.

პაპა თელო ილიმებოდა, ახალი ტანსაცმელი ეცვა, თით-ქოს ძინა და ტბილ სიზმარში აყვავებულ ატმის ხეებს ხედავდა.

გიორგი შაბუაშვილი.
1957 წ.



ტ რ ა ნ ს ნ ო ი ა რ ს კ ი ს ჰ ა ნ ს ი ს ბ ლ ა რ ი ნ ე ა ნ ი ს მ ო ვ ა შ ა უ რ ო ბ ა

თანამედროვე პირობათა კარგად დასაქორდათ, როცა კრასნოიარსკის ჰესის ტურბინებს აპროექტებდნენ და აგებდნენ.

208 000 კილოვატი სიმძლავრის ტურბინის ბორ-ბლის დიამეტრი 7,5 მეტრია, წონა კი — 250 ტონა. ცხალი, ასეთი ზომისა და წონის ტვირთს რკინი-გზით ვერ გადაიტანდნენ. გადაწყვიტეს წყლის გზა ესინჯათ და აი, სავანგებო, რუსებიან გზაზე, სა-ვანგებო აგებული, მრავალფეხიანი ბაქინიანი ვა-გონი შეაყენეს, ზედ ტურბინი აიტანეს და ზღვაში მიიტანეს. იქ ტურბინი გემზე გადაიტანეს და გემმა 30 დღის შემდეგ, თეთრი ზღვის არხის, თეთრი ზღვის, ჩრდილოეთის სახლვაო გზის და ენისის გავლით, მვირფასი ტვირთი მშენებლობამდე მიი-ტანა. ასე გადაიტანეს სხვა ათი ტურბინიც.

გ ა მ ი რ ა ლ ს ე ზ ა ზ მ ი ც უ რ ა ბ ე ს

ვაკე აღვიღებში, დიდ მდინარეებზე ელექტრო-სადგურების აგებისას, ნაოსნობის პრობლემები არის ხოლმე გადასაჭრელი — ბეტონის კაშხალი ხში

ყრულ ჰექტავს მდინარის კალაპოტს. წინათ, ჩვეუ-ლებრივ, ასეთი შემთხვევის დროს რაბებს აგებდ-ნენ ხოლმე (მაგალითად, მოსკოვ-ვილგის არხი). რაბები თავისებური კიბეა, რომლის საშუალებითაც გემი ან მალა ადის და ზემოთ მიჰყვება კალაპოტს, ან დაბლ. ჩადის და ქვემოთ მიჰყვება დინებას.

ასეთი პრობლემის წინაშე დადგნენ თანამედრო-ვეობის უდიდესი ელექტროსადგურის — კრასნოი-არსკის ჰესის დაროექტებისას. ზედა და ქვედა ბი-ეფთა შორის სიმაღლის სხვაობა 100 მეტრი იყო. ეს სიმაღლე რომ დაძლეულიყო, სულ უკანასკნელი, 4-5 რაბის მოწყობა მინც იყო საჭირო. ინჟინრებმა თამამი პროექტი წამოაყენეს: რაბი კი არა, და-ქანებული გემთაშვი მოვაწყობს. დოკანებულ, რელ-სებიან რკინიგზაზე ნება-ნება მომარობს წყლით სავსე ვიგანტური ჩანი, ჩანში გემი ტვიტოვებს. ჩა-ნი რაბის უმაღლეს წერტილს მიაღწევს და მერე ასვე ნელ-ნელა ჩაქმდება. დაბლა, მანამ, ვიდრე ჩა-ნი მდინარის დონეს არ გაუთანასწორდება.

გემთაშვის აგება გაცილებით იაფი ჯდება, ვიდ-რე რაბებისა. მას შეუძლია 2000 ტონა წყალწყვის გემი აიტანოს მალა. წყლიანად და გემიანად, ჩანი 6000 ტონას იწონის. ატნის (ან ჩატანის) მთელი ციკლი საათისა და ოც წუთს გრძელდება. აქაც დროის დიდი ეკონომიაა.



გიორგი
შუბისი

ჰაინც ჰოფმანის უბოძახი



ერთხელ სკოლას ეკრძეფული ახალგაზრ
აგზისი ოფიცარი, უფროსი ლეიტენანტი
ჰოფმანი სტოპრად იფიხი. ოფიცარი მოს-
წავლევას თავის საჰმანოზის შასახაზ
მოუთხრობდა. უძებ კაზინა შეაინცა:

— რა პაროფისიას ბრანდბით?
— მი დწრბალი ვარ! — უპასუხა ჰოფ-
მანმა. — ეს ხელოხა ლაიციზმი ვის-
წავლეს... სწორად იმ ბაჰვიანი ივანე!

— ვინ ივანე? — ცნობისოვაჰარა-
ოხაჰ სწინა მოსწავლევას. ახანაბი
ჰოფმანი ჩაჰიარდა... — ჩინი მხოზარე!
იღოღე ახლაც არ ვიცი, ნაშვილად
ივანე ვარჰა თუ არა...

მატარაი ლ. ზარაფიზილი

ჩვენ თითქმის არც გვესმოდა, თავჩაქინდრულები ვგუშა-
ობდით.

მამაჩემი სწავებს უსაყრებ

იმხანად ქალაქ ლაიპციგში, ოსტრტარსეს 105-ში მდებარე
ქ. პ. ფრიკეს სამშენებლო საწარმოში ვსწავლობდი. ჩვენ ჰიტლ-
ერული ვერმანტის საბარაკო ნაწილების აგება გვევლეებოდა.
სამშენებლო ტყვეებს აუტანელ პირობებში უსდებოდათ ყოფ-
ნა. მათ მცირე ულუფას ურიგებდნენ და ყოველდღიურად თქე-
ვსმეტ საათს ამუშავებდნენ. საწყლებს ტანსაცმელსაც კი არ
აძლევენ. შუადღით, ხანმოკლე შესვენებისას, წყალ-წყალა
შეჭამანდს ჩამოურიგებდნენ და სულ ეგ იყო! ისინი ბარაკებში
ჰყავდათ გამომწვევდულები და მკაცრ მეთაფაყურეობას უწე-
დნენ. ჩვენთან ზურაგის ფრონტის დაგეღებით თითქმის ყოველ-
დღე მოდიდა ბატონი შტრაინერი. როგორც კი საბჭოთა
ტყვეებს მოჰკარავდა თვალს, მანინვე დაიდრიალებდა ხოლმე:
ჯერ არ ამობდომიათ სული ამ ბოლშევიკ გველის წიწილებსაო
და შეუტეგდა: მიდით, მიდით! იმუშავეთ, თქვე ძალღისშვილე-
ბო, თქვენა!

ერთხელ ჩვენებს ყველაფერი ვუამბე. მამაჩემი კომუნისტი
იყო და არსად მუშაობდა. ნაცისტებმა თქვეს: ღირსი არ არის.
სახელმწიფომ მასზე იწრუნოსო. როცა მამას საბჭოთა ტყვეების
ამბავს ვუყვებოდი, ყურადღებით მისმენდა. — რამდენი საბჭო-
თა ტყვეა თქვენთან? — შეითხა ბოლოს.

— ორმოცდაათი, — ვუპასუხე.
მამა ჩაფიქრდა.

— ჰაინც, შესძლებ, ტყვეებს რაიმე გადასცე? — მკითხა მა-
მამ. თავდაპირველად შეგეშინდა. საბჭოთა ტყვეებთან ურთი-
ერთობა სასტიკად იყო აკრძალული. ამასაც რომ თავი დავანე-
ბოთ, ამა სედ უნდა გადამეცა? იქნებ საშრობ საამქროში მოვა-
ხერხო? — გაიმოღვა გონებაში. აქ ახალდაწებებულ ფიცრებს
ამრობდნენ ხოლმე. უფანჯრო და თონესავით გაგარვარებულ
საამქროში აუტანელი იყო მუშაობა. შტრაინერის განკარგულე-
ბით, ეს მონური საშუაო „რუსების ბრბოს“ უნდა შეესრუ-
ლებინა.

სამი დღის შემდეგ მამამ ჩვენს პატარა ოთახში გამოყვანა.

მაგიდაზე პური, მარილი, სამი კოლოფი სიგარეტი და ასანთი ქლაბა.

— ამხანაგებმა გადაწყვიტეთ, ტყვეებს დავეხმაროთ, ამჟერად მხოლოდ ამის შეგროვება შეეძლებოდა! — მიიხრა მამამ. უცებ უჩვეულო სიბოთ ვიგრძენი. მამაჩემი ტოლივით მელაპარაკებოდა, თითქმის მეც მათი ამხანაგე ვყოფილიყავი.

— იცოვრე, წინდახედული უნდა იყო. შტრაისხერი ღვარძლიანი ნაცისტია. პაულ მასალს, შემს ათისთავს მოერიდე, სანდოა თუ არა, არ ვიცი. — მამამ ჩემი ხელი მკერდზე მიიღო და მიიხრა: — ჩვენ მოვალენი ვართ დავეხმაროთ...

შხვაპარა სურვს საყმარო

მეორე დღეს პროდუქტები წავიღე. ჯერ გარდერობში შევიხანჯე, მერე კი, ფიცარებს შორის ჩავხეიღე. ერთი სული მქონდა, ვიდრე სააქმროში მასალას მოიტანდნენ, წუთები საათებად მეჩვენებოდა. ტყვე, რომელსაც ფიცები მოჰქონდა, ბრეც და ამოვანი იყო. ჩამოიარა თუ არა, ფუთა ფიცებიდან გამოვაძევი, ხალათქვეშ დავხეიღე და სამხრეთ სააქმროში შევფერვი. ჩვენ ორს მებტ არავინ იყო. ტყვე განცვიფრებული შემოემცქეროდა. — მამაჩემი კომუნისტია! — ვუთხარი და ფუთა ხელში მივაჩრე. — შენითვის და შენი ამხანაგებისათვის! — ტყვემ გამომცდილი თვალები ჯერ მე მომაპყრო, მერე კარებისაკენ მიიხედა, ფუთა სწრაფად ჩაიტენა უბეში და დამარცვლით წარმოიქცა: გ-მ-ა-დ-ლ-ო-ბ-თ! მეც აღარ დავაყთვე: — მე ჰაინცი ვარ, შენი მეგობარია! გვისმის? მან თავი დამიქნია, მაგრამ მანინც განცვიფრებული შემოემცქეროდა. მერე კი ხელი გამომიწოდა და დამტეხული გერმანული მიიხრა: — მე ივანე! შენ ჩემი ბრად, ძმა!

თავი დავუკარი, სწრაფად ჩემი სარანდავი ჩარხისაკენ გაპირებდი გაქცევას, რომ გზაზე პაულ მასალსი გადამეღობა. — აქ რას აკეთებ? — დამიღრიალა მან. მიმისაგან ენა დამეხდა. — სამს... რობში... აი... რა ჰქვია... ფიცარი ჩამოვიღე... უცებ სასრობიდან ტყვე გამივიდა. ცეცხლზე ნავთი გადამესხა, მაგრამ მან ათისთავი დიანაზა თუ არა, მყისვე პირი იბრუნა. ხალათი ოდნავ გამოიბურთა. მასალსმა ჯერ მე შემომხედა, მერე ივანეს გახვდა, თითქოს მეც იდა, თვალმოჭურტული შემომცქეროდა. — წაერთიე, შენს საქმეს მისხდე! — დამიღრიალა განრისხებული. ისე მოფუსვი, უკან აღარ მომხედავს. ათისთავი შემოტრიალდა, დარბაზის ბოლოს, ხის ჯიხურისკენ წავიდა და ჭრილით შეაღო კარი. ივანესთვის თვალი რა მომიცილებოდა. პირველად ეხედებოდა გალიმბელუს. იმ დღიდან მოყოლებული ივანესთან კვირამი ორჯერ მიმქონდა საჭმელი, წამლები, საცვლები. მარილი და სიგარეტები. მამაჩემი სულ ჭკუას მა-

რიგებდა, ფრთხილად იყავიო. ივანე დღითი-დღე გერმანულ ენაზე იწაფებოდა. უკვე გარკვეულად მეუწყნებოდა. ხალაზე მე და ჩემი ამხანაგები დიდად მადლობლები ვართ გერმანული კომუნისტებისათ.

გადავიღე კაპა

ერთსულ, შინ რომ მივედი, დავინახე, მამაჩემი დახრილიყო და უურადღებით უსმენდა რადიომიმღებს. ვერც კი გაიგო ჩემი მისვლა. ყური ვცვევტიე. რადიომიმღებიდან ჯერ ზარების რეკვა მოისმოდა, მერე კი ძლიერი, შთამაგონებელი ხმა გაისმა: „გოვორიტი მოსკვა... გოვორიტი მოსკვა...“ შემდეგ ქალმა დაიწყო ლაპარაკი გერმანულად: „ლაპარაკობს მოსკოვი...“ „ლაპარაკობს მოსკოვი...“ მამაჩემმა რადიომიმღების ხმას დაუწია. ახლად შევნიშნე: მაგიდაზე ფურცელი ედო და რადიოს გამალებით იწერდა: რადიომიმღებში მამაკაცის ხმა მოისმოდა: „დღეს ძღვემოსილი წითელი არმიის ნაწილებმა დაამარცხეს ფანისტო გენერალ-ფელდმარშალ პაულუსი და აიძულეს დანებებულიყო! სტალინგრადი კვლავ საბჭოთა არმიის ხელშია!“ მამა მოსცლიდა რადიომიმღებს. ფანქარი მაგიდაზე დადო და თვალუბრებულად რამდენჯერმე გაიმეორა: მათ დაამარცხეს ესეიქი ეს უკვე გადამწყვეტი ბრძოლა!

მამამ ახლად შემამჩნია. ერთხანს უხმოდ შემომცქეროდა. მერე კი ისეთი ხმით, როგორითაც დიდსა და ბედნიერ ამბავს იტყვანდა ხოლმე, მიიხრა: — წითელმა არმიამ სტალინგრადთან ფანისტები დაამარცხა. ახლა ის შეტევაზე გადმოვა და მერე, ჩემო ბიჭო, ფანისტს დავამარცხებთ და თავისუფლებას მოვუპოვებთ. — მან მკლავი მხარზე შემომხვია და მიმიხიდა, — და ჩემო ბიჭო, ჩვენც იატაკქვეშეთიდან ამოვალთ...“

მამამ ხელით მომიწინა თვალებზე მომდგარი ცრემლები და თავისი რხინანი ხმით იმედიანად მიიხრა: — ჩვენ უფრო



ახალი ცურვა

ცურვის შესწავლას რომ იწყებენ, ბავშვებს ყველაზე მეტად წყალში თავის ჩაყოფის, თვალის გახელისა და ამოსუნთქვისა ეშინათ.

თუ ზღვა, ტბა, წყალსაცავი ან მდინარეა ახლოს, კარგი და პატოსანი, ამას რა სჭობია (ცხადია, წყალი თხელი უნდა იყოს, საცურაოდ გამოსადეგი). თუ არა და, შონაც შეგიძლია შეეჩვიო წყლის უჩვეულო გარემოს და ისწავლო ცურვის ანბანს.

აბაზანა წყლით იმ დონემდე აავსე, რომ მჯდომარეს წყალი მკერდამდე მოგწვდეს.

საწყისი მდგომარეობა ასეთია: ჩაიოქე, ჩაქეი და ხელები მუხლებზე დაიდევ (ნახ. 1). ვარჯიშის დროს არამც და არამც არ ჩამოსვდა ხელები სახეზე, მხოლოდ პირით ჩაისუნთქე და ამოსუნთქე.

1. წყალში ჩაპვინთვა: ურთუო არ იქნება, თუ პირველ 3-4 ვარჯიშს სუნთქვით ვარჯიშს მოახმარ. ისწავლე სუნთქვის შეჩერება 10-15 წამით

(წყალში ჩაუყვინთავად), მერე, მიიღე საწყისი პოზა, ჩაისუნთქე, თვალი დახუჭე და 5-10 წამის მანძილზე სახე წყალში ჩამადე. თუ ეს ვარჯიში სამჯერ-ოთხჯერ კარგად გამოგივიდა, გაართულე — წყალში თავი ჩაუვი და სუნთქეც 5-10 წამით შეაჩერე. (ნახ. 1).

2. წყალში თვალის ბახმლა. ჩაისუნთქე, წყალში ჩაუყვინთე და თვალი გაახილე. წყალში თუ თვალის გახელას ვერ შეეჩვიე, ცურვისას ორიენტაცია გაგვირღვება.

კარგი იქნება, თუ აბაზანაში წინაწარ ჩაურთე ქანქებს ან სხვა რაიმე საგნებს მოძებნი და ამოიღებ.

3. წყალში ამოსუნთქვა. მამ. ამ ვარჯიშის დაწყებამდე შეიტლება ნიკაპი წყალში ჩაყო და, ჩაის რომ უბრავეს ხოლმე, წყალს ისე შეუბერო. გაიმეორე 6—10-ჯერ. შემდეგ მღრმად ჩაისუნთქე, სახე წყალში ჩამადე და ნელ-ნელა ამოსუნთქე.



ამ დროს უნდა იარაღზე ბუ-შტულები ზედა განხდეს. ეს ვარჯიში 6-10-ჯერ შესარულე. და ბოლოს, ღრმად ამოსუნთქე და თავი ჩაუვი, თვალი გაახილე და ძალუშად ამოსუნთქე, თან უტყვირე, როგორ აღის ზემოთ ბუ-შტულები.

ამ ვარჯიშის ათვისების შემდეგ წყალში ამოსუნთქვა უნდისუდ 10—20-ჯერ მაინც უნდა სცადო. (ნახ. 3).

4. სუნთქვა პრელო. თან მართლაც ეს ვარჯიში ხელს შეგიწყობს, იოლად აითვისო კროლით ცურვა. (ჩვეულებრივ, ცურვის შესწავლას კროლით იწყებენ ხოლმე).

მიიღე საწყისი პოზა, თავი მარჯვნივ ისე მიპარუნე, რომ მარცხენა ღოყა და უური წყალში გქონდეს დამალული. ღრმად ჩაისუნთქე, სახე წყალში ჩამადე წარბებამდე, (თვალები დაა) და ნება-ნება ამოსუნთქე, ეს ვარჯიში 6—10-ჯერ შეასრულე.

ახლა ეს ვარჯიში შებრუნებითაც ისწავლე.

უხეჩი



ლიცეუმი

ტ ა ი კ ი

პირველი მუშაობა

ცნობილი ამერიკელი მწერალი ჰერმან მელვილი (1819-1891) მრავალი

წლის განმავლობაში მელვილი იყო. 1842 წლიდან მსახურობდა ვესპოტანანდორო გემზე, რომელიც წყნარი ოკეანის წყლებში დატურავდა; ბოლოს ვერ აიტანა კაპიტანის სასტიკი მოპყრობა და მარკოსის ერთ-ერთ კუნძულის ნავსადგურში გემიდან გაიქცა. ხმელით-ვე დარჩენილი ტყვედ ჩაუვარდა ადგილობრივ მკვიდრთ. ეს შემთხვევა და კუნძულის ნაყოფიერ ველებზე მცხოვრები ტაიპის ტომის ხალხთან ნანახი თუ გაგონილი დაედო საუფუძვლად ამ წიგნს.

ს ა მ ი მ ო თ ხ რ ო ბ ა

მასპიტინე ბაბაშვილი
ცნობილი ქართველი მწერალი ევატერინე გაბაშვილი გვიხატავს გლი-ხების მძიმე, გაუხარედი



ცხოვრებას ოქტომბრის რევოლუციამდე. ოსტატურად ავყვირს მათ დატა; შშიერ-ტიტველ შვილების სასუქვარ ოცნებებსა და ადრე დამთავრებულ ბავშვობას.



ს ა მ ი მ ო თ ხ რ ო ბ ა





დაწყებითი ძეგავი

გადახაზეთ ეს ნახაზი სქელ ქალაღზე და დაქერით მართლუთხეღებად. ნაქრები ისე დააღაგეთ, რომ შეწყვი შეიკრას.

- ვერტიკალურად: 1. გარეული ცხოველი; 2. მწვანლის სახეობა; 3. ხილი; 4. სახელმწიფო ევროპაში; 7. ზღვის ფრინველი; 9. მგალობელი ფრინველი; 11. მდინარე ევროპაში; 12. მდინარე ჩინეთში; 16. ქალაქი სსკ-ში; 17. მდინარე ევროპაში; 18. ფრინველი; 20. ქვეყანა; 21. შეიარაღებული ძალი, ანუ? 23. კამფეტის სახეობა.
4. წლიწადის თვე; 5. საბრძოლო მანქანა; 8. მათრიკალეთის ქედზე; 9. ოთახის ყვავილი; 10. ლენინური ყვავილი; 13. სახელმწიფო აზიაში; 14. სახელმწიფო ევროპაში; 15. ქალაქი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე; 18. მრავალფეხა მწერი; 20. ფრინველი; 22. სახელმწიფო აზიაში.


ჰორიზონტალურად: 1. ერთ-ერთი დისციპლინა;

ბიბინო ჯანაზაშვილი, დოცის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.



თასსატბინი

ასანთის ათი ღერით შეადგინე ასეთი ფორმის ფიგურა და 3 ღერის გადაადგილებით მიიღე ამ ფიგურის შეზღუდული სახე.



მანანა გომეზაშვილი, ქ. ბოლნისის რაიონის, ორბელიანის სახ. საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

თასსატბინი

ქალარაკის მხედრის სვლით წაიკითხე ერთი ტაბეი ვაჟა-ფშაველას ლექსისა „მხედრების სიმღერა“.

	ა	ე	ლ	დ	თ	თ
ო	ბ	ს	ა	რ	ო	ც
ი	ვ	ნ	ე	ღ	ვ	ნ
ე	შ	ა	ვ	ი	ა	რ
ა	ც	ც	ა	რ	ღ	ა
მ	ც	ს	ს	ე	თ	რ
ვ	ნ	ი	ე	მ	რ	ყ
ა	ვ	ს	ნ	ე	მ	ვ
შ	ს	ბ	ი	ს		

თოთარ მირზაშვილი, გორის რაიონის სოფ. მეჭვინხევის სახ. სკოლის მოსწავლე.

პესხი № 5-ში მოთავსებულ ქროსკორღზე

ჰორიზონტალურად 1. ატამი; 3. ორანი; 5. ალუი; 7. ქენივა; 9. კაჟაბი; 10. იაღონი; 12. სით; 13. ოსი; 15. იტალია; 16. კიო; 18. ობი; 20. გვრიტი; 21. მილანი; 23. ლაგავი; 25. მალა; 26. კატა.

ვერტიკალურად 1. აკაკი; 2. ისარი; 4. ამერღვა; 6. არაბეთი; 8. იაპონია; 10. იალღუბი; 11. ოთხი; 12. სკოლო; 14. ზამზახი; 16. კოლო; 17. ორბი; 19. „თბილისი“; 22. ლაგავი; 24. არალი; 27. ონი; 28. კეი.



წატურმობტი.
ხათუნა ონიანაი

პონეპეონა



პეონეპეონა

მომეპეპე
მომეპეპე

სოფრო
ცაპაპე

თბილისს
24-ე ხაშ.
სკოლის V კლასი.

პიონეპეპეპეპეპე



პეპეპეპე
ღათო სოფტარია
თბილისს 57-ე
ხაშ. სკოლის IV კლასი.



წითელკუდა

თაბარ
მამუხაშვილი

78-ე ხაშ.
სკოლის
IV კლასი.



